

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი # 19

28.06.2017.

საბჭოს სხდომას სიითი შემადგენლობის 183 წევრიდან დაესწრო 160 წევრი.
(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დღის წესრიგი:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება

=99/ნ-ით, საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებით ადამიანური რესურსის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დავით გურგენიძე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი, მენეჯერი, პროფესორი გინა გურეშიძე.

2. ემერიტუსის წოდებაზე კანდიდატურების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დავით გურგენიძე.

3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის მოხსენება, სამშენებლო ფაკულტეტის შემდგომი ავტორიზაციის პროცესისთვის მზადების შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს).

2. მოისმინეს: პროფესორ ა. დავითაშვილის ინფორმაცია საგანთა ჯგუფების მიხედვით საკონკურსო შტატების განაწილების შესახებ.

3. მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის სახელფასო ფონდი ახალი საშტატო განრიგის მიხედვით შეადგენს $\approx 48\%$, განვითარების ფონდი $\approx 31\%$, მომსახურების სფეროს ხარჯი $\approx 21\%$ -ს.

4. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის მოხსენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება =99/ნ-ით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის სტანდარტებით ადამიანური რესურსის განსაზღვრის შესახებ. მან საბჭოს მოახსენა, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის საუნივერსიტეტო კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებული კონკურსის ჩატარების პირობების თაობაზე.

აღინიშნა, რომ აკადემიური დატვირთვის და შტატების განაწილების ფორმულის როგორც წესი 2-1,5-1,5 და საგანთა ჯგუფების მიხედვით, მოხდა წინასწარი მონაცემების დაზუსტება და აკადემიურ დატვირთვად განისაზღვრა 1 საშტატო ერთეული აკადემიური პერსონალისთვის - 500 საათი.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა თ. ბაციკაძემ, პროფესორმა რ. იმედაძემ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნას საგანთა ჯგუფების მიხედვით, აკადემიური დატვირთვის და შტატების განაწილების ფორმულა, როგორც წესი 2-1,5-1,5, და 1 საშტატო ერთეული აკადემიური პერსონალის აკადემიურ დატვირთვად განისაზღვროს - 500 საათი.
დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

5. მოისმინეს: პროფესორ გ. ჭოხონელიძის სტუ-ს აკადემიურ საბჭოს წინაშე, თბილისის საპატო მოქალაქედ წარდგენის შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ლ. კახიანმა, პროფესორმა ტ. კვიციანმა.

დაადგინეს: სტუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე, პროფესორ გ. ჭოხონელიძეს, გაეწიოს რეკომენდაცია თბილისის საპატო მოქალაქედ წარსადგენად.
დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

6. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია, ფაკულტეტის დამსახურებული პროფესორების: ასოცირებული პროფესორის რევაზ მახვილაძის, ასოცირებული პროფესორის ვალერი ვაჭარაძის, ასოცირებული პროფესორის ვაჟა ნაჭყეზიას, პროფესორის ომარ მხეიძის, პროფესორის ანზორ კვარაცხელიას და მოწვეული პროფესორის ზურაბ დანელიას, სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე ემერიტუსის წოდებაზე რეკომენდაციის გაწევის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ლ. კახიანმა, პროფესორმა მ. წიქარიშვილმა.

დაადგინეს: რეკომენდაცია გაეწიოთ სტუ-ს აკადემიურ საბჭოზე ემერიტუსის წოდებაზე წარდგენილ კანდიდატებს:

1. მახვილაძე რევაზი -107 დეპ. - ასოც. პროფესორი - 400 სთ;
2. ვაჭარაძე ვალერი - 102 დეპ. - ასოც. პროფესორი - 400 სთ;
3. ნაჭყებია ვაჟა -105 დეპ. - ასოც. პროფესორი - 400 სთ;
4. მხეიძე ომარი - 101 დეპ. - პროფესორი - 400 სთ;
5. კვარაცხელია ანზორი - 101 დეპ. - პროფესორი - 200 სთ;
6. დანელია ზურაბი -104 დეპ. - მოწვეული სრ. პროფესორი - 400 სთ.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

7. მოისმინეს: პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია აწ. გარდაცვლილ ცნობილ ინჟინერ-მშენებლის, ყოფილ: მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს რესპუბლიკის უძრავი ქონების საკუთრების დეპარტამენტის უფროსის, კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის, თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის და სამების ტაძრის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარის ირაკლი ანდრიაძის, თბილისის მერიის წინაშე შუამდგომლობის გაწევის თაობაზე, ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩისთვის მისი სახელის მისანიჭებლად..

აზრი გამოთქვას: პროფესორმა მ. კუბლაშვილმა, პროფესორმა თ. ბაციკაემ.

დაადგინეს: ეთხოვოს სტუ-ს აკადემიურ საბჭოს რეკომენდაციით შევიდეს თბილისის მერიაში, რათა ირაკლი ანდრიაძის სახელი ეწოდოს ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

8. მოისმინეს: პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია, ასოცირებულ პროფესორ კობა ჯინჭარაძის 80 წლისთავთან დაკავშირებით და ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, უნივერსიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოების და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ერთი თვის ხელფასის გამოყოფის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ა. ნადირაძემ, პროფესორმა ე. ქრისტესიაშვილმა.

დაადგინეს: ასოცირებულ პროფესორ კ. ჯინჭარაძეს გაეწიოს შუამდგომლობა აკადემიური საბჭოს წინაშე მისი საპატიო სიგელით და ერთი თვის ხელფასით დაჯილდოების შესახებ.

9. მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია,

1.სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის „მშენებლობა“-ს მიერ რეკომენდაციის გაწევის თაობაზე, ასოცირებული პროფესორის ია მშვიდლობაძის სახელმძღვანელოს „შენობა-ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია“-ს, სტუ-ს სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოზე დასამტკიცებლად და სტამბური წესით გამოცემისთვის 400 ლარის გამოყოფის თაობაზე.

2. სამშენებლო ფაკულტეტის =101 დეპარტამენტის პროფესორ როინ იმედაძის ჯანმრთელობის გაუარესებისა და გადაუდებელი ძვირადღირებული ოპერაციისთვის, ერთი თვის ხელფასის ოდენობის თანხის გამოყოფის თაობაზე.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა ლ. კახიანმა, პროფესორმა ნ. მურღულიამ.

დაადგინეს: 1.დაკმაყოფილდეს სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის შუამდგომლობა და სამშენებლო ფაკულტეტის ნორმატიული აქტების და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო არაძირითადი საქმიანობის მუხლიდან, გამოიყოს 400 ლარი, წიგნის - „შენობა-ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია“-ის დასაბეჭდად.

2. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების მუხლიდან, სამშენებლო ფაკულტეტის =101 დეპარტამენტის პროფესორს როინ იმედაძეს გაეწიოს დახმარება ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

თავმჯდომარე , პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /

